



მათრახი

№ 21

და სალაშქრო

ყოველ-კვირეული, იუმორისტული ჟურნალი



შ. ძიაცაძე - რ

კობეს სკოლა

(საგულისხმეო მიზანთა „ნუცას სკოლისადმი“)



ძობსუცხა რეკისორმა კობეს სთქვა:

— ჩემს არტისტებს უთუოდ როლები უნდა ვასწავლოო!

დასსხ სტოლებსე, გადაუშლა როლები და უთსრა:

— ეს არის „შინი“, ეს არის „სინი“, ეს არის „ტინი“. ისწავლეთ გენსცვა-
ლეთ როლები, ისწავლეთო.

შართლა ისწავლიდენ არტისტები როლებსა, თუ ვერა?

„შასკა“.

ქართული თეატრი

არ იქნა, ქართულ თეატრსა
ალარაფერი ეშველო:
ხალხი გულცივი გაუხლა
ძალა ეცლება ნელ-ნელა.

დიდი ხანია ამ კითხვის
თავ სამტერეცს, სვილალოსა
გარს უფლის პრესა ქართული,
ვით ცხენი სალენ კალოსა.
ხან იქ წაპკრავენ, ხან აქ
მეგობარ-ქირისუფალინი,
შემდეგ კი მიიძინებენ

„ვალ მოხდომ“ თავისუფალნი. გავა დრო, შეხვალ თეატრში, მტერს გული გაუხარდება: (ვერ ვიტყვი: „იმით მხახველს თეატრი შეუყვარდება!“) რა მხრითაც უნდა შეხედო, ყოველგან ნაკი ჯარადა, უტკერი იმით სატანჯველს და ცრემლი დავდის ღვარათა. არც რეჟისორი რამეს გავს, არც როლის ცოდნა ცოდნასა მიხვრა მოხვრის დროს, არ იცი როს შეგამთხვევენ ცოდვასა. ფიქრობ: ეს ანუ ის პირი სკენიდან გადიჩეხება! ისეთი თავაზიანი (აქიან ხელის შეხება.) და განა მარტო აქ თქმული არის მიხვები სხვა არა, რომ კარიგლობს თეატრი, როგორც უდაბნო სახარა? რას ბრძანებთ, წერილობან მიხვებეს არ უჩანს დასასრულებნი: მდიდრებს ქართული არ მოსწონთ, ღარიბს არა აქვს ფულები, თან გამგებობის წვეგრებიც არიან დაკარგულები: არ შესწევთ საქმის უნარი, არც ცოდნა, არცა ცდილობა, იმით არ ძალუმს განკურნონ ეგზომ დიადი ქრილობა. საქირო არის უთუოდ იმათი გამოცკვილობა, „შიში ვერ იხსნის სიკვიდისა, ცუდია დღორეჯილობა.“

— კი.

ეშაპის ინტერვიუ.

პროვინციელ ბოქაულთან.

სახიფათოა ხოლერა, მაგრამ არა ნაკლებ სახიფათოა პროვინციელ ბოქაულთან შეხვედრა! რასაკვირველია ბოქაულიც არის და ბოქაულიც, მაგრამ თუ ბოქაული ამასთან ერთად „პრისტიჟიცა“ მაშინ ღმერთმა დაღიაროს მასთან შეხვედრისაგან ასრი ყოველი!

ღმერთმა მეთქი იმიტომ მოგახსენებთ, რომ „მათრახი ეშაპისა“ აქ ვერავითარ მფარველობას ვერ გაგწევთ.

საჭიროა აგრეთვე აღვნიშნოთ, რომ ზოგ კაცს

შესანიშნავი ზნე სჭირს, სახელდობრ ის ყველაფერს ურიგდება, მას ყველა ერთგვარ მისწონს. როგორც მღვდელი აგრეთვე მღვდლის „ცოცხლიც“ მისთვის სულ ერთია მგელი და კრაი, ქორი და წიწილა, როგორც მგალითად სულ ერთია ბოქაული და უწყინარი სოფლის მასწავლებელი.

ბედნიერია ამ „ყოვლის შემგუე“ ზნის პატრონი აღამიანი, თუ კი შეიძლება მას აღამიანი ეწოდოს!

— ძლიერ მოხარული ვარ, ბ-ნო ზარბეგ (ასეთ სააღერსო სახელს უწოდებენ ჩვენს ბოქაულს) თქვენთან გაცნობისა!

— ძალიან გმადლობთ. მეც არა ნაკლებ მესიამოვნა თქვენი ახლოს გაცნობა, ბ-ნო ეშაპო!

— რასაკვირველია! ჩემის აზრით რაც უნდა წმინდანი იყოს ბოქაული, ორი მესამედი მისი არსებობა მიინც ეშაპს ეკუთვნის! მართლს ვამბობ, არა?

— სრული ჭეშმარიტებააააა! ჩვენ თუ ნამდვილი ეშაპები არა, მისი ბიძაშვილები მიინც ვიქნებით! შეიძლება არც ესურთ ჩვენი ნათესაობა??

ამ კითხვასთან ერთად ჩემმა „ბიძაშვილმა“ კარგა მოზრდილი მათრახი შეათამაშა ხელში და სამუდამოთ გადამიყარა გულიდან ყოველივე „ნათესაური უკადრისობა“.

— რასა ბრძანებთ, ბ-ნო ზარბეგ, რასა ბრძანებთ! ჩემის აზრით არა თუ მე, მივლს ჯოჯოხეთს შეუძლია თქვენი ახლო ნათესაობით იამაყოს.

— დიხას; დიხას! უნდა გამოგიტყდენ აშხანავო ეშაპო, რომ ძლიერ მიყვარს მათრახის ხმარა. ის ჩემი ორგანიული ნაწილია, გესმის ორგანიული. უფრო აღვილით ავიტან მარცხენა ხელის მოკვეთას, ვიდრე მარჯვენა ჩემი მათრახს შევლიოს.

— ხუმრობთ? მე ვერ წარმომიდგენია როგორც ბოქაული, უმათრახობა, აგრეთვე ხორცსმული მათრახი უბოქაულოდ! უიმისოდ ან კი რა უნდა გააკეთოთ სოფლად!

— სოფლად? რას ამბობ კაცო! უბრალო ჩხირს ვერ გადააბრუნებთ, თუ გზის გასაწილდავთ წინ მათრახი არ მიგიდღვის.

— კარგი მათრახი გაქვთ?

— შენსას არ ჩამოუვარდება და ისე სხვებს შეიძლება უკეთესიც ჰქონდეთ.

— მეჩემ რატომ გგონიათ, რომ თქვენი მათრახი ჩემსას სჯობია?

— როგორ? თუ რატომ? იმიტომ რომ მე ამის საშუალებით თასგვარ სახალხო საქმეს ვაკეთებ: გზები გამაყავს, გადასახადებს ვკრეფ, დამნაშავეს ესჯი, ურჩს ვიმორჩილებ, გიჟს ვაჭკვიანებ, მშობერს ვაძლბობ, მამდარს ვამშვე, უღვთოს ვლოცუბ... ერთი

სიტყვით, რას იტყვის კაცის ენაწინისთ, რომელსაც ჩემი მათრახის ნუსხა არ ასრულებდეს. შენ კი არა? შენი მათრახი სიტყვაა, ქარს მიაქვს; ჩემი მათრახი ძალაა, განხორციელებული ენერგია, მას სტრატეგიები დაატარებენ.

— არც ვგრე არის საქმე, ბატონო ზარბეგ. მე არაფერი მაქვს საწინააღმდეგო შესახებ თქვენი მათრახის ძლიერებისა, მაგრამ ნურც ჩვენ დღევა მკირებთ ეგზომ. ჩვენი „მათრახი“ რა საკვირველია არ არის მაგდენათ ძღვევა მოსილი, მაგრამ მას სხვა უზირატესობა აქვს. აი მავალითად: თქვენი მათრახი ზურგს, თავს, ფეხებს, ხედება ერთი სიტყვით ადამიანის „ოკრაინებს“; ხემა, ჩვენი კი პირდაპირ გულს ხედება...

— ხე... ხე... ხე... ე. ე. ე. ვე ვითომ რაა? გულისთვის ჩვენ სხვა მოწინააღმდეგის ვატარებთ. აი იხილეთ... „ზაყაყი“! შესძახა ბოქაულმა და უფროივ შემოიპირა ერთი სრულიად მსგავსი ზაყაყისა ქმნილებე-ბა. ეს ვახლდათ ბოქაული საყვარელი სტრატეგიკი, ყვითელი პატრონებით ყელთამდე შეღვსილი.

— აბა უჩვენე ამ სტუმარს მაშინა, რომლებიც-თაც ჩვენ აღმიათა გულებს ვიმორჩილებთ.

„ზაყაყი“ ჯერ გაწითლდა, შემდეგ გაყვითლდა და აღბათ კიდევ რამოდენიმეჯერ იცვლიდა ფერს რომ ზარბეგს მოთმინება არ ვასწყვეტოდა.

— შე ვირო, ვერ მიხვდი რას გეუბნები? ვად-მოიდე თოფი!

— ნუ სწუხდებით, ბ-ნო ზარბეგ, განა მე არ ვიცი, რომ ქვეყანაზე არსებობს თოფი და ტყვია?!

— მაშთუ იცი რალა შენი მათრახით გვეჩხირები!

— უკატრავად! მე მეგონა მათრახებზე გეკონ-და ლაპარაკი...

— მე, ბ-ნო ეშმაკო, ფიქვი აგებულობის ადა-მიანი ვარ. უნდა გამოგოტყდე, რომ ბევრი ლაპა-რაკი არ მიყვარს. პირიქით, ლაპარაკი დროს და-კარგვითაც მიმანია. საქმის დროს საქმე უნდა და უმათრახოთ საქმე ვის გაუტყვებია.

— ცოლო იქნება თქვენ ამ მზრივ აღამიანმა უმოქმედობა გისაყვედურის, ბ-ნო, მაგრამ მეც ჩემ-და თავად იმის თქმა მინდოდა, რომ არც ჩემი მა-თრახია სრულიად უსარგებლო. მავალითად თქვენი კურხეული მათრახი...

— უკატრავად, სიტყვამ მოიტანა და შევაწ-ყვეტებთ, რაც შეეხება კურთხევას, ჩემი მათრახი მართლაც რომ კურთხეულია. ჩემს საბოქაულოში სულ ყველა მღვდელი ლოცვა კურთხევით იხსენი-ებს მის სახელს და განა არ უმათრახებიან?

— ვითომ რატომო?

— იმიტომ რომ, თუ არ იმისი ძლიერების მე-ოხებით, სხვით რით შესძლებდნენ ამ ექვსი წლის მიყურებელი დრამა ფულების განადიდებას?

— ზოოლოგი კინაღამ დამეჩვენა. თუ საქმე ეგ-რე რალა თქმა უნდა ლოცვა კურთხევას არ მოაკ-ლებდნენ. მაგრამ ჩემი მათრახის უზირატესობა, თქვე-ნის წინაშე კიდევ იმაში გამოიხატება, რომ ჩვენი მათრახი ერთსა და იმევე დროს რამოდენიმე კაცს ხედება, არა ანდაზის თქმისა არ იყოს, „ერთი მოქ-ნევით რამოდენიმე კურდღელს კლავს“.

— ძალიან კარგი, მაგრამ ამას არა აქვს ვადა-მწყვეტი მნიშვნელობა. თქვენ სამაგიეროთ ერთი მათრახი გაქვთ: და ჩვენ კი უთვალავი.

— ესეც მართალია! ან კი რალა ამ მათრახზე ლაპარაკს შევაკვდი. განა სხვა სასაუბრო დავგვე-ლიო?

— რასაკვირველია, ბ-ნო ეშმაკო, აკი წელან გითხარი, რომ მე ლაპარაკი დროს დაკარგვით მი-მანია: საცა საქმეა საქირო, იქ საქმე უნდა.

— სხვა როგორ ატყობთ ქვეყნიერობის ამბავს? ვგონებ ჩადვა ძველ კალაპოტში ჩვენი სოფლის ცხო-ვრება, არა?

— რას ამბობ, არა თუ კალაპოტში (მი-სი კალაპოტი მათრახია). კალაპოტი რას მიქვია, ისეთ კალაპოტში მყავს ჩაქანაკებული რომ, ცო-ცხელ არსებას კი არა, ქვასაც წვენი დედინებთ.

— მივიკის როგორ ახერხებთ ამას?

— ეს ადვილი საქმეა, ბ-ნო ეშმაკო, მხოლოდ სხვაფრივ ვერ არის საქმე სავარგისად.

— როგორ, რა მზრივ?

— ისე... როგორ ავიხსნა აღარც კი ვიცი. ჩვენებულთა რომ ვთქვა ხალხი გაკლიათხინკდა, მო-თმინება დაეკარვა, უფროსის პატრიცსემა დაევიწყდა. — როგორ, გამოსარჩენი ხომ არ მოაკვლდათ? — არა, მარტო გამოსარჩენზე ხო არ არის საქმე.

— მაშ?

— მაშ ისა, რომ უწინ ყველაფერს თითქო პატრიცსემით შევბოდნენ, ისე ტკბილათ, მეგობრუ-ლათ. ახლა კი მხოლოდ შიში აყურებს. ჩემს მათ-რახს რო ცოტათი ძალა შეეღიოს შენი მტერია!..

— ეგ თქვენთავის ხომ თითქმის სულ ერთია: გუშინ სიყვარული იყო, დღეს ძალით არის! უბე-დურება ის იქნებოდა გამოსარჩენი რომ სრულიად მომსპარკო.

— რას ამბობ შე დალოცვილო! გამოსარჩენი რომ მოისპოს ჩვენზე უბედური უქანასენელი გლე-ხიც არ იქნება.

— ხუმრობის გარეშე რა გაქვთ ჯამაგირი პრო-ვინციელ მოქაულებს?

— ზოგს მტერი, ზოგს ნაკლები. მე მავალითად სულ რალაც 70 მანეთი მაქვს თვიურათ.

ამ სიტყვებზე ზარბეგმა თავი ჩალუნა და ვერ

დავინახე გაწითლდა სახეზე თუ არა. ტყვილ სი-
მართლე ამისი ამითი მინდოდა შემეტყუა.

— ძლიერ ცოტა ყოფილა თქვენ მხესა ფეი-
ცავ!

— რასაკვირველია ცოტა. განა მთავრობამ არ
იცის, რომ ეს ჩვენ არ გვეყოფა, მაგრამ იმედი
აქვს სხვის გამოარჩენით იშვოვისო.

— ექვს ვარეშა ეცოდინება. როგორ არ ეცო-
დინება, როცა თავისი თვალთა ხედავს სამი-ოთხი
წლის სამსახურის შემდეგ რამდენ უძრავ-მოძრავ
ქონებას იტენენ ხოლმე უბრალო მოქალაქეები!

— იცის, რასაკვირველია იცის.

— აი ამ ორი წლის წინეთ აქეთ ერთი ბოქა-
ული მოკლეს.

— ოჰ!

— დიახ მოკლეს. ქვრივმა დახმარება ითხოვა.
დანიშნეს გამოძიება და გამოიკვია, რომ განსვენე-
ბულისაგან მის ქვრივ მეთუღლეს ორმოცი ათასი
მანეთის ქონება დარჩენია.

— აი ბოქობაცა და ოჯახის სიყვარულიც ამას
მიქვია.

— მე მფლანგველი ვარ, ჩემი პატარაები არ
მხსოვს, თორემ განა იმაზე ნაკლები შემოსავალი
მაქვს?

— მერმე რისთვის დგებით ცოლშვილის ცოდ-
ვაში?

— რა ვქნა! ვერაფერი ვერ მოეუხებრებ ჩემს
თავს. წარმოიდგინე, ერთხელ ისე მაგრათ გადავიკარ
მათარბი, რომ სამი კვირე ზურგი მეწოდა. პატარა
ხანს ქე დავანებე თავი ქეიფს, ბოლოს ისეე ვამი-
ტატა.

— თქვენ მაინც საკმაო აღვილ მამული შეგი-
ძენიათ ამ ოთხ ხუთ წელიწადში, ბ-ნო ზარბეგ და
ჩემი აზრით თავს მაინცა და მაინც არ უნდა ემღუ-
როდეთ.

— არა, არც ისეა საქმე, რომ თუ ეს ჩინბუ-
ლი დრო წახდა, შავი დღისათვის ოჯახი ვიშვი-
ლით დამიწყდეს, მაგრამ მეტი ვის მოსსპარებნია?

— კარგი, მაგრამ დრო რომ გაუკუღმართდეს
და რვეიზია დაგინიშნონ?

— მერმე რა? დანიშნონ.

— რომ იკითხონ ეს ამოდენა სიმდიდრე სიი-
დან შეიძინეთ?

— გიეთ ხომ არ ხარ! რაც ქვეყანა გაჩენილა
მას შემდეგ არავის უკითხავს და რაღა ჩემზე გამო-
ტყვირება ასეთი ღვთის წყრომა?

— ვთქვით გამოტყვირა და იკითხეს.

— არა, ეგ უეუძღებელია, ვინ უნდა იკითხოს.

— წარმოვიდგინოთ ისე დაიდუპა დროება,
რომ იკითხეს, რას იტყვიოთ მაშინ?

— მთავრობის მოხელე მაქვს არ იკითხავს და
ყურნალ ვაზეთებს ჩვენ ყუროღენებს! არ უაქციეთ.

— როგორ არ იკითხავს, ძალიანაც იკითხავს.
მოსკოვის გუბერნიის ქ. პარიჟში სამი ბოქაული
დაატუსდნის სწორეთ ამ საქმეზე. ეს კიდევ არაფე-
რია, ლონდონის გუბერნიაში ხარკოვის მახლომ-
ლოთ და ქალაქ ბერლინიში ბაქოს მახლობლოთ ხუთ-
ხუთი წლის კატორღა გადაუწყვიტეს ბოქაულებს
იმავე მიზეზისათვის.

სხვა დროს გულადი და ფიცხი აგებულობის
ზარბეგი შიშის ქარმა აიტანა, მართალია მას არც
ერთი აღნიშნული გუბერნია ქალაქი არა გავგონა,
მაგრამ გუბერნიები ხომ არ ინტერესებდნენ. საინ-
ტერესოა ჩემ მიერ მოგონილი ახალი ამბები იყო და
აკი ამ ამბავთა საშინელებამ დასცა თავზარი.

— ეს კიდევ ნამტყვია იმასთან შედარებით,
რასაც მომავლისთვის უშზადებს მთავრობა მექრთამე
მოხელეებს და მთა შორის ბოქაულებსაც რასაკვირ-
ველია. კრიტოსის გუბერნიის უფროსი ათის წლით
გადაასახლეს ენისის*) გუბერნიაში. ნიბონის მახ-
რის უფროსს ყველაფერი გაუყიდეს საჯარო ვაჭრო-
ბით და თითონ კატორღაში ვაგზავნეს. მერე არ
იკითხავთ რისთვის?

— ჰო, რისთვის?..

— სულ უბრალო საქმეზე: ერთი გლეხისათვის
სამი აბაზი გადაეხდევინებია, მხოლოდ სამი აბაზი.
მაგრამ ეს კიდევ არაფერია; აფრიკის გენერალ გუ-
ბერნატორს ბარონ მუტუ-ხიტოს სამი ბოქაული
პირდაპირ ჩამოუბრჩვია ქრთამებისათვის. ავსტრა-
ლიის მახრაში რისკოის მახლობლოთ, ერთი ბო-
ქაული კიდევაც... ..

— მიშველეთო!.. მიშ...ევე...ლე... ..

ბოქაულს გული შეუწყუნდა. საბარლომ სიმარ-
თლეთ მიიღო ჩემი ოინები და დასკვნა: დღეს თუ
არა ხელ უთუოდ მახემენ რვეიზის; მკითხავენ:
შენ თუ კი ვიცი ხარ, ასეთი პატარა ჯამაგირით ასეთ
მოკლე დროში როგორ მოახებრებ ამდენ ქონებას
შეძენაო. ვეღარ გაუძლო მოსალოდნელ უბედურე-
ბას და ბარბაცით მიეყრდნო გრძელ სკამეიკას. ამ
ამბავმა ერთი ალიაქოთი გამოიწვია.

მეც მეტი გზა არა მქონდა ინტერვიუს დასას-
რული ზარბეგის გონზე მოსვლის დროსათვის გადა-
მელო.

ეშმაკი.

* იუნდა გამოიტყვირეთ, რომ გეოგრაფიიდან ბოქ. ზარ-
ბეგმა მხოლოდ პეტერბურგი, მოსკოვი, ადესსა და აგრეთვე
ჩრდილო-კავკასიის გუბერნიები იცის. ეს უკანასკნელი მას
შემდეგ შეესწავლა, როცა მისი საბოქაულოდან მრავალ გლე-
ხობა გადაკომბირეს.

* *

დაარტყი ლომი! დაპკარ ნაქუჩი!
თან ვაღლივე მკლავებში ძალა,
გრძნობამ იფეთქა გული ატკივდა,
სევდა-ნაღველი ამოიკალა...

ვიშ, ამ ნეტარ წუთს! ეძს, საოცნებოს,
გრძნობა და ძალა რის ერთდებიან,
არეს მთარღვეს ბრძოლის ყიფინა,
ქვეყნის ორგულნი შიშით სდნებიან!..

დაარტყი ლომი!.. ჩამოანგრეო...
დაპკარ ჩაქუჩი!.. აქ ავაშენო!
და სანამ ტაძარს არ მოვასრულებთ,
გმირი მკლავები არ შევასვენო!

დაარტყი ლომი!.. დაპკარ ჩაქუჩი!..
გაიორკეცე მკლავებში ძალა:
იფეთქა გრძნობამ, ატკივდა გული,
სევდა-ნაღველი ამოიკალა...

დეე, ცამ გეტყორცნოს რისხვის ისრები,
ირველიე ამბოღლეს ქარი, საზარი,
ნუ შევისვენებთ, სანამ სრულიად
არ ავაშენო ჩვენი ტაძარი!..

დაარტყი ლომი!.. დაპკარ ჩაქუჩი!..
იქ-დავანგრეო... აქ-ავაშენო...
და სანამ მიზანს ჩვენ არ მივალწვით,
გმირი მკლავები არ შევასვენო!..

* *

ირველიე ბაღია... * შეაზი ტაძარი.
მორწმუნე ხალხი შედი-გამოდის ..
რათ უნდა ტაძარს ხატი და ჯვარი?!
აქ ხშირად ცით თვით ღმერთი ჩამოდის!..

კაცთ შორის მართავს ღვთიურ საუბარს
„ძმობა“-„ერთობა“-„სიყვარულზედა“,
ხან „ჩენის დროზედა“ „სიტყვის ვადამოკრავს,
ვით სამწუხარო შორს წარსულზედა...

მუნ აღარ ისმის ბრძოლის ყიფინა,
მყოფობათ ურტყამენ მსუბუქ ჩაქუჩებს,
აქ ვერა ჰხედათ ზნელ სარდაფებსა,
ცრმულით და სისხლით მოლოზულ ქუჩებს!..

ოფლს კი შენიშნავთ... ყველას სახეზე
აღბეჭდილი აქვს იმისი დალი...
მით თვის დაპყურებს...
შრომის ემბლემა და ბაირალი!..

5. ზომღეთელი.

სამეურნალოში.

სურათა მეორე

მოქმედება სწარმოებს ექიმის კომენტში. პატარა ოთა-
ხია, შუა ადგილას დგას სტოლი რომელზედაც წიგნები აწ-
ყვია, იქვე რამდენიმე ჩალის სკამია ჩაწყობილი, ხელ მა-

რჯენი თარო დგას წიგნებით სავსე. მარცხნივ კუშეტკა და
იარაღის შეკადი. კედელზე სურათები სწილიან. მარჯვენა
სხედან: ბებია ქალი, ექიმი და ფერწალა.

ექიმი. (მიუბრუნდება ფერწალს, თან ხალათს
იცვამს). რა ქენით წუხელის, სიმონ პეტროვიჩ, მო-
იგეთ თუ წავაგებ?

ფერწალი. (უქმყოფლოთ) დასწყევლოს ღმე-
რობა, რუსები რომ იტყვიან. „He берет“ ჩემი სა-
ქმე სწორეთ ისრე არის, წარმოიდგინეთ თხუთმეტი
მანეთი წავაგებ.

ბებია ქალი. (სინანულის ცილოთი.) რა ამბა-
ვია, სიმონ პეტროვიჩ, რომ სულ აგებთ და აგებთ,
როდისდა უნდა მოიგოთ?

ფერწალი. როგორც ვატყობ არას დროს.

ექიმი. (სიმონ პეტროვიჩ, თქვენ სულ არ იცით
თამაში. (ბებია ქალს) წარმოიდგინეთ ნინა პავლოვ-
ნა, ისეთი რისკით თამაშობს, თითქოს ნიუ-იორკის
ბანკირი იყოს და ამასთანვე ძალიან ღლავს. სუ-
ლის სიმწვიდე კარტში პირველი საქმეა.

ფერწალი. თქვენ რაღა ქენით? მგონი დიდ-
ხანს გითამაშნიათ ჩემს შემდეგ, არა?

ექიმი. გავათენო! რაც შეეხება მოგებას ჩე-
ვლებბრივი იყო.

ბებია ქალი. (ღიმილითა და აღერსით.) Зна-
чить выиграла!

ექიმი. (ამაყთ). Какже, какже. უძისობა
როგორ იქნებოდა, მთელი ღამე გავათენეთ.

ფერწალი. (შურინაჟ). თქვენ ისე თამაშობთ,
რომ არადროსაც არ წავაგებთ და ქაღალდიც ძალი-
ან მოგლით.

ექიმი. რას ვიგებ ძმაო, აქ მოგებულს ფულს,
ერთი კვირის წვალეზას, ქალაქში ერთ საათში ამო-
მწამამებენ ხოლმე. წასულ კვირას, რომ ვიყავი შეი-
დი თუმანი წვაგე ხელათ. (შემოდის მოსამსახურე
და აცნობებს, რომ ავათმყოფი სწუხს და სთხოვენ,
მაღე მიიღოს.)

ექიმი. (რისხვით) შენ ვე პატარაკვეცობა ვერ
მოგაშლევინე? მოიკადოს, არა მკალიან, ხომ ხე-
დავ საქმე მაქვს!

მოსამსახურე. (წყენით) ჩემი ბრალი რაშია,
თუ არა გჯერათ გამომბანდით და თქვენ თვითონ
ნახეთ.

ექიმი გამოვალ თუ არა, ეს ჩემი საქმეა, შენ
გადი და როცა დავიხახო მაშინ შემოდი. წადი! (მო-
სამსახურე გადის) შეხედეთ როგორ გათამაშდა!

ფერწალი. წარმოიდგინეთ სახელი დაუგდია;
ფერწალი ვარ და მაღე ექიმობას მივიღებო. გლე-
ხებს მართალი ჰგონიათ და ყველანი მაგასთან მი-
ლიან წამლისთვის. ზოგს ქათამი მიჰყავს თურმე,
ზოგს რა და რა. ვეცე აქედან წაღებულ პარაშოკებს

ურთვეს და სახელათაც „ფერწალი საშსონი.“ და-
ურქმევიით.

ექიმი. დათხვნას ვაბრებ, რას იტყვი?

ბებია ქალი. ძალიან კარგს იხამთ; აქაოდა
მდიდარი ქალი ვითხოვეო ძალიან ამაყობს და პა-
სუსტაც აღარ იძლევა.

ფერწალი. (გაკვირვებული.) როგორ, დაინი-
შნა?

ექიმი. არ გავივით განა? ისეთი სასაცილოა
მაგის ისტორია.

ფერწალი. (ცნობის მოყვარებით.) ერთი მი-
ამბეთ, თუ შეიძლება დავიდ მიხელირ.

ექიმი. პრიობის შემდეგ, ცხლა დავიანდა. (შინ-
ჯავს საათს). უკვე ათი საათი სრულდება.

ფერწალი. (ხვეწით.) თუ შეიძლება დავიდ
მიხელირ, არ დავვიანდება, რომ ცხლა არ გავიგო ვე-
ლარ ვიმუშავებ.

ექიმი. მაშ კარგი გეტყვით. ჩვენი საშსონი და-
ნიწნულა სოფ. ს—ში თუ გახსოვთ ერთათ, რომ
ვიყავით ეპიდემიის დროს მდიდარ გლეხთან.

ფერწალი. (ჩაფიქრდება). მახსოვ როგორ არა.

ექიმი. იმის ქალზე დანიწულა, მართლა ქა-
ლი რომ ძალია ლამაზია ხომ შენცა ნახე. (ფერწა-
ლი შერკთვით რადგან ის ქალი თითონ ჰყავდა სა-
ხეში) რასაკვირველია თავისი თავი უფროს ფერწა-
ლათ განუცხადებია! სიმამრიც თურმე ძალიან გახა-
რებულია, რომ დობტური სიძე იშოვა და იკადრა
იმისი ოჯახი. სოფელში მოუღვიათ ამბავი, რომ ნი-
კოს ქალი დობტურმა დანიწნა. საღამოთი მისუ-
ლან ავთამყოფთან წასაყვანათ, მარა უარი უთქვამს
„დალილი ვარ,“ აქ მოიყვანეთო. მიუყვანიათ თუ-
რმე და დაუწყია შინჯვა. სტეტესკოპიც ჰქონია,
ყველას დაჰპირდა, თურმე რომ წამალს გამოგიგ-
ზავნიოთ. შინჯავდა თან უბის წიგნში იწერდა ტყუ-
ლივით და ხმა მაღლა ლათინურ დამხინჯებულ სი-
ტყვეს ამბობდა. (ავაყვრებს). „ციცი,“ „ოლიამ
ოლიაგრიმ,“ „ქინინ“ და სხვა ბევრს თურმე. ამით
ყველანი დარწმუნდნენ, რომ საშსონი ფერწალია
(იციანის). აი ოინბაზი! (ყველანი იციანის). მე კი-
დეც ვერ ვასურათებ, მღვდელი ძალიან კარგათ აჯა-
ვრებს. (ფერწალი აღგება, უნდა გავიდეს ავთამყო-
ფთა დასასახებლათ, მარა უცებ კარები გაიღება და
შემოდინან. მღვდელი, ადგილობრივი მამასახლისი,
ქნიაზი ოთარი, სამკურნალოს სახლის პატრონი და
ორი ვაჟარი. მიესალმებიან ერთმანეთს და დასხდ-
ებიან ყველანი, ქნიაზის გარდა.)

ექიმი. დაბრძანდით ქნიაზი.

ქნიაზი. (თავს იჩენს.) არა, ცოტა საქმე გვაქვს
მაღე უნდა წავიდეთ.

ექიმი. საით მივშურებით? ^{ქნიაზი}
ქნიაზი. (ღიმილით). დავჭკუდებთ მარა რომ
არა გცოლიანთ. მარაში მწვადები გვაქვს.

ფერწალი. მართლა? კარგია ამ დღით!
ქნიაზი. წამობძანდით.

ფერწალი. (უქმაცოფლოთ.) აქა?
ქნიაზი. მაშ მალე გაათავეთ და თქვენთვისაც
იქნება. მხოლოდ იცით რა უნდა ვითხრათ? (ხელბს
ვატაკუნებს.) დღეს ვითამაშოთ ჩვენი ბაქარა თუ
არა?

პირ. ვაჭარი. (ღიმილით) ვაჰ,—ქნიაზ მად
გაგესნათ მოგებისა?

ექიმი. უსათუოდ ვითამაშოთ, სიმონ პეტრო-
ვიჩიც ითამაშებს. (ფერწალი თავს დაიქნევს თანხ-
მობის ნიშნათ.)

მამასახლისი. ცხლა მაგის ჯერია მოგების,
თორემ სულ აგებს.

ქნიაზი. რა უშავს ხალასტოი კაცია, რათ უნ-
და ფული!

პირ. ვაჭარი. (შიშით.) ვა! როგორ არ უნ-
და სულ, რომ კარტში წავგოს თითონ?

მღვდელი. (ღიმილით) სწორეთ თქვი გეტურქ,
მაგის ჯავრი უფრო გავქვს თუ იმისი, რომ დანახარჯს
ველარ გავისწორებს?

პირ. ვაჭარი. მამაო! თვენ ვილას ეუბნებით,
რომ დღე და ღამე იმაზე ფიქრობთ როდის დაი-
წერს ჯვარს, ერთი ოცი მანეთი წაავლიჯო.

ფერწალი. რა განხუბებთ, ჯერ ხომ არ მომ-
კვდარავარ, რომ ქურჭი გაიყოთ? მაგას თავი დავანებოთ
და ახალი ამბავი იციო? (ყველანი გაკვირვებით უც-
ქერან) ჩენი საშსონი ცოლს ირთავს და...

ქნიაზი (იციანის) ვიცი-ვიცი, ძალიან მოხერ-
ხებულათ მოქცეულა, მთელი სოფელია და საშსო-
ნი. აქამდის უნდა მეთქვა დამავიწყდა, ახლა «ცი-
ნი», უნდა დავარქვათ. (ყველანი იციანის).

პირ. ვაჭარი. ვა! იცით თურმე რა შხითებს
იღებს? (თავის აზიანავს) მიხაკ? ის შხითევი, რომ
ჩვენგან იყიდოს იცი რა ფული გავარდებს?

მეორე ვაჭარი (გაკვირვებით). მაშ ვისგან უნ-
და იყიდოს?

პირ. ვაჭარი. ქალაქში წავლენ. (ქნიაზი ხელს
დაჰკრავს ზურგზე ვაჟარს.)

ქნიაზი. რადროს ვაჭრობაა თქვე ოხრებო, ადე
წავიდეთ მწვადები მშათ იქნება. (ექიმს) მაშ გვრე,
ექიმო, ვითამაშობთ?

ექიმი. უეჭველათ, უეჭველათ, მაგრამ ვანშაში
ვისი კერია?

ქნიაზი. თქვენი, წუხელ ხო ჩემთან იყავით, ჩემს
მერე—კი თქვენი ოჩერვია.



ექიმი. ძალიან კარგი, ვერც იყოს. (ემშვიდობებიან წასასვლელათ ამ დროს კარები გვიღება და შემოიღის მძმე ავთამყოფის მამა. აღვღვება ეტყობა.)

მამა. (აღვლევებული). ბატონო დობტრო! თუ მოგვეცემ წამალს მოგვეცი, თუ არა გვითხარი მაინც წავიდეთ. დილას აქეთია აქა ვართ და ავთამყოფს საშვერ შეუწუხდა გული.

ექიმი. (გაჯაფრებული). მიბრძანდი, ხელს არავინ დაგიტერს. რახან შენ თვითნებობაა გასწიე, მე შენს ავთამყოფს არ გაეშინჯამ, წადი!

მამა. (უფრო ღელდება). მაშ რა დობტროები ხართ, თუ წამალსაც არ მომცემთ, ვისთვისა ხართ აქა?

ექიმი. (ყვირის). გადი აქედან, თორემ ვმსაათში გაჩვენებ ვისთვისაცა ვარ. (მივა ხელს დაუტერს) წადი.

მამა. (დამშვიდებით) ავთამყოფი მიკვდება, ლამის არის ცეცხლზე წყალი დამსხას რა უყო, ორმოცი ვერსი გამომივლია, უკან როგორ წავიდე.

ფერშალი. წადი მამა, მიგიღებთ; ხომ ხედავ საქმე გვაქვს. (კარს გაუღებს, ავთამყოფის მამა ბურტყუნით და ლანძღვით გადის.)

ექიმი. ყური უგდეთ, ილანძღება!!
ენიანი. (დაყვავებით). არა უშავს რა გლეხია, არ ესმის. (ამ დროს ბებია ქალი, წამოდგება და გადის, მარა ისევ მალე უკან ბრუნდება გაფითრებული).

ბებია ქალი. (აღვლევებული). დავიდ მიხეილინ, ავთამყოფს გული შეუწუხდა, კვდება, უშველეთ ჩქარა. (ყველანი ჩქარა გადიან.)

ექიმი. (შიშით). ჩქარა ვალერიანი, კამფორა, წყალი, (ავთამყოფს მაჯას უშინჯავს, მარა უკვე მკვდარია. დედა თმებს იგლეჯს, ისმის აქეთ იქითან ლანძღვის სიტყვები. მოხუცი ავთამყოფი ხელკახოკით თვალებს იწმენდს და წამოდგება წინ).

მოხუცი. (ექიმს). თქვენ მოკალით ეს, ღმერთს გაცითი პასუხი უსამართლონო, უსვინდისონო. (ტირის). არ გებრალემათ არც საწყალი, არც ავთამყოფი. მუქითა იღებთ ჯამაგირს. ამა რას მიკეთებთ? ვინაა ერთი, რომ თქვენ მოგჩაჩინოთ? სად დაჰკარგეთ მებრალემა, რატო აქამდის არ მიიღებთ საწყალი მომაკვდავი? რაზე მოკალით საბრალო ბავშვი?! დაელოკოს ღმერთს სამართალი, რომ თქვენისთანებს არ გადუხდის. (სხვები რაღაცას ჩურჩულებენ. მომტირალ დედას აშორებენ მკვდარს და მიჰყავთ. ექიმი და ფერშალი ერთმანეთს უყურებენ.)

ექიმი. (აღვლევებით) რა ვქნათ?

ფერშალი. რა უნდა ვქნ

ექიმი. (კაბინეტისკენ წავა). ~~Скандинавский~~ ცხლა, ხომ ქვეყნის სალოპარაკო ვაგვღვინს? (წვეყნისკენ) (ავთამყოფები ყველანი წავლენ, მიცვალბუღუს ღრებზე დასდებენ და ყველა იქ მყოფნი ექიმის ლანძღვით უკან მისდევენ).

ფერშალი. (მოსამსახურეს.) დაკეტე შკაფები?
მოსამსახურე. დაკეტე. (აძლევს გასაღებს. და ორთავენი გადიან.)

ფ ა რ დ ა .
გ — ხ ი , ვ — ნ ო .



(ნ ა წ ვ ე ე ტ ი)

უგულის ნებო იმედი არვის არაფრათ არგია...
როს საქმე მიღის ტატიო მაშინ კი ესეც კარგია!..

კვლე ბაყათარი გულს გვიფლეთს და ბელზებელი ხარხარებს, რომ ამბოკარი მაშვრალი მით მიერ მუხბრუქს ატარებს...

ამ ავტაროსი ხეღრის წინ ალაფდა ბედის ბილიკი, დატრიბებს გვეყვრის სახეზე ძალა უგლიმი ქილიკი ღმერთი შორს, არის, საჩვენოთ პირიკ არ დაუბანია ძალის თან ღონღილს ტაატის ვერა რა გაუტანია...

უგულის ნებო იმედით, იქნება ვინიკობითა ეხლა ვეწვევით სიკაცხლეს უსაქმო მოქმედებითა... ჩვენი უთუო მიზანი ხომ ჩვენ გულშივე მარხია, ღრო ჩვენ მოგვეყვება ეს მაჯაც მისი მომქმედი ჩარხია... მაშ ავტაროსი ბედის წინ ნუ, ნუ, ნუ დავგვიძინება კვლავ ბელზებელი ხარხარებს ბაყათარი გაეცინება.



ქესტვირული.

(ს. ზემოხუთისთვის)

მოვივიარ ხელში სტვირითა
დავალიღინებ ნელ ნელა,
სოფელ ზემოხუთის მივუმღერ
თუ არ გაჯავრდა წვერკმელა.
ძველდაც „ფოსტალიონი“
დღესაც მუშაობს ბნელადა,
ხალხს პირში ელაქუცება
დანოსებს გზავნის კრელადა,
მას ამხანაგი დამხმარე
ბევრი ყავს მარჯვენ ხელადა,
კულა ბზიკ აწნაურები,
მღვდლები მათ მისაშველდა.
ერთმანეთს ხელსა უწყობენ
დრამების სახეცელადა,
ქანქარი მათთვის ღმერთია
ისა აქეთ სალოცველდა.
«ტარშინაც» დაყოლიეს
ქანქართა საყლაბელადა.
ორჯერ ანაძრობ ჯარიმის,
გაუხდენ შშიერ მგელადა.
როცა ვაუგო სოფელმა,
პანგი იცვალეს ხელადა:
«ტარშინა» დასახელეს
ქანქარის შემქამელადა.
სკოლის და ბაზრის საქმესაც
გაუხდენ თითქო მცველადა,

და გაიხადეს ორივე, **სტვირული**
თავისკენ სათრეველად...
გაგვეყვს პატარა სოფელი
მტრობა დათესეს სქელადა,
სკოლა გინდოდა შუა ალაგს
მათ გადაკარგეს მთელადა.
ეხლა კი მიხვდა სოფელი
ვინ აირჩია მცველად
და გთხოვს უცხუნო მათრახი
მათ ზურგის ასაწველად
რომ ხალხის ზურგზე ყორნები
არ ისხდენ უღარდელადა.

ლ. ზემოხუთელი.

შცაო სიტყვათა ახსნა.

(ქუთაისისთვის)

ქ. სათ აზნ. ბანკი—დაფორების და საანგარიშო ჩოთქების მაღაზია.

ქ. ქუთაისის სამმართველო—უხმო ხმოსანთა სადგური.

უაფანი—ნაწილი ქუთაისისა, სადაც ყველაფერი იფათ იყიდება.

ბულვარი—სტუდენტების მოსვლამდე დასვენებული ბაღი.

იაღლა—სახალხო სკოლების დირექცია.

სამიკიტრო—ქუთათური მოწაფეების კულტურული დაწესებულება.

ვოგზალი—შენობა, რომლიდან გამოსვლის შემდეგ რიონში უნდა იხანა.

ოცხელ-მათვრიე იე—წიგნის მაღაზიების ინსპექტორი და მისი თანამემყვე.

ორ სოფელი.

შ ა რ ა დ ა.

იქნებ მოგწყინდა შარადა
მკითხველო, პატივცემულო
და ფიქრობ: „ნეტავ ამ ოხერს
ალარ დასწერედ წყეულო“.

რაგქნა არ ძაღმძის ვუსმინო
ამ რჩევა დაბრეგებასა,
ვერა დავსტოვო შარადა,
ვიდრე თავი ტანთ მებასა.

მაშ მოიკრიფეთ ძალ-ღონე
და მოთმინება დადი...
(საქმეს დაღუპავს სიჩქარე
აგრეთვე აზრი წყვილადი)!

მოანახეთ შინა ცხოველი
ნორჩი, არ მქონე რქებისა,
მცოხნავთა ჯიშის არსია,
მშვენებთ... ღირსი ქებისა.
წინა ანბანის მტრია

და ჩვენთვის მოუხმარელი, ისევე წაშლა აჯობებს სწრაფი და დაუზარელი.

მეორე სიტყვა საჭირო, ადვილი ასახსნელია თუ ხარ-კამეჩი გინახავს, ის არ გენახოს ძნელია, ერთგვარი იარაღია მით შტერთა მოსაგებები. (იმასაც ასო პირველი ტყვილა აქვს შინაკერები). მესამე სიტყვა, კერპია ამ ქვეყნიური ცხოვრების: მტერთა—მოყვარედ გარდამქნე, მტრად მქცევი გულის სწორების! იგი სატრფოა პრავალთა, ცხოვრების მიზნათ ნასახი, უბრალო, მრგვალი ლითონი ზედ არწვი გამონასახი...

ალბათ მიმიხვდით კიდევაც, (სანატრელი გაქვთ ყველისა)! მაგრამ ეგ ასო პირველი აქაც ავგიტებს ბელასა, სჩანს ბედის წვრა ყოფილა! ყველა თვე მონაკვეთები როგორ დავეირჩა ნაწილი შარადის გასაკეთები?!!

ახლა დააწყვეთ სამივე, როგორც რიგი და წესია, და უცებ გამოგორდება ცხოვრების ჩენის „მესია“ ვინც თავის ბოლო ნაწილზე კბილ-კლანჭებდ განაღდესია, ვინაც იქ იპკის, საღაც მას აროდეს დაუთესია, ვინც მისკენ წიწავს სოფელში რაც კი რამ უკეთესია, ვისი ნაქები მათრახი მკლავისა უცასქესია, ერთგვართ მუსრავს ქალს და ცაცს არ გაერჩევის სქესია, ჯანი აქვს, ყველგავს ქვეყანას, მოხუცს ენიშნის პენსია, ბევრი ყავს სოფლად ღატაკი ანატორ ანაკენსია.

თუ კიდევ ვეღარ ახსენით ეს ჩენი მოკლე ლექსია, მოაკვეთ თითი სალოკი, როგორც ლაპირთა წესია

ჩხვ. ო. მ. შაჩჩიჩი



სარკის წინ იდგა ერთი ვეკილი, (დიდი ოხერი და გაქეჩილი!) სასამართლოსკენ გზად აპირებდა ამ შემთხვევისთვის ფრასს ისწორებდა. უცებ, შენიშნა მან საქმე უკული, (ფრასს ქვეშ უჩანდა

მელიის კული,) მაგრამ არ შედრკა. საქვა: სამკაული არ არის ჩემი დანაშაული. მელიის კული და მისი კილო ჩვენთვის არ არის ძმავ სათაკილო.

კული

* * *
ლოჯვარდსა, ღიად მზის სხივებს ჩამოფეგარა წყვილიდ ბნელი; ნისლთა სულარით ვადიბურთა ხავერდ ქათიბით მორათული ველი.

თავისუფალსა მთის ნაკადულსა ვარს შემოერტყა ყინულით ბორკილი; მსუსხავ ყინვისაგან ჩამოხმა, დასქვნა სურნელოვანი მინდვრის ყვავილი.

შეაბნელ ფრთიანმა, სახარმა ქარმა, იწყო სისინი, ვით მგესლავ გველმა, და ბედის ჩანგი უხვად აპყურა მოზღვევებულმა მღელდარე ცრემლმა.

დ. თურდოსპირელი.

კოლო.



ორი ეძმაკი.

ქველმოქმედება.

ზანგელა. განა როგორ?

შეარე. როგორ და ისე, რომ ჩვენს საზოგადოებას ღრმათა აქვს დაჯდარი ჭვალ-რიბლიში ქველმოქმედებითი გრძნობა.

ზანგ. საბუთი?

შეარე. საბუთი ათასი: წერა-კითხვის საზოგადოება, ქართული თეატრი, ფილარმონიული საზოგადოება, ერთი სიტყვით რომელი ერთი თეატრა.

ზანგ. მითხრა რა ქუაა; შენ ისა სთქვი რომელი მათგანი არის სახეირო დღეში? ყველას სული ხდება შიშშილით

შეარე. ეს გრძნობის ბრალი როდია, ეს სიღარიბის ბრალია. აბა ჯერ გაამდიდრეთ ქართველი ხალხი და შემდეგ ნახავ როგორი ხელგაშლილი იქნება!

ზანგ. ეს იმას ვაგვს: „მანეთი მაჩუქე და შაურს გააძნებო“ რო იტყვიან.

შეარე. რისთვის ვაგვს შე კი ციკო? აი თუნდა ავიღოთ გუშინწინდელი ილიას საღამო...

ზანგ. ძალიან კარგი, ავიღოთ!

შეარე. ერთი მითხარი, უსასყიდლოთ რომელი გერმანელი, გინა ფრანკი, გინა ინგლისელი ფილოლოფი იკითხავდა ერთ საათს ლექციას, თუნდაც ეს საქველმოქმედო აზრით ყოფილიყო?

ზანგ. მეჩვე ვინ წაიკითხა?

შეარე. როგორ თუ ვინ წაიკითხა? ვინა და რომაქიმემ. მართალია, თითონაც ხელმოაკლეთ არის, მაგრამ წერა-კითხვის საზოგადოებისათვის მთელი საათი დახარჯა.

ზანგ. ვამ მაგალითო! სწორედ ამაზე ითქმება: „ეთქვი და წამიხადო“! შე, კარგი, შეგეტყობ მაინც საქმის გარემოება და ისე გეტყვი: კარგი ქველ-მოქმედებაა შენმა მხრემ ერთი საათის „ბუნდოვან სურათში“! ათი თუმანი აიღო! ეს სწორეთ ქველმოქმედურია!

შეარე. შენ ცილსა სწამებ! შენ „შურით“ ლაპარაკობ. ქვეყანამ იცის, რომ წერა-კითხვის საზოგადოებას ის ფულს არ ვადაახდევინებდა.

ზანგ. უკაცრავათ! ქვეყანამ იცის რომ ვადაახდევინა და შენ ერთს გცოდნია რო არ წაუღია. განა მართო ესა?

შეარე. მაშ კიდევ რალა?

ზანგ. კიდევ ისა, რომ წარსულ ლექციაზე ქართული თეატრის არტისტები არ შეუშვა უფასოდ.

შეარე. სტყუი! უკაცრავად ასეთი კილოს ხმაურებისათვის, მაგრამ სტყუი, სტყუი, სტყუი და ათი ათასჯერ სტყუი! მაგას როგორ დავიჯერებ, როცა რომ წინა დღით შეერთებულ კრებაზე ისეთის ქველ-მოქმედურის მზრუნველობით ამტკიცება: „ჩვენს არტისტებს ლექციები უნდა ვუკითხოთ, უნდა გავავითაროთ, გონება გაუხსნათო, და სხვა ათას სიტყვითა ასეთი კილის წამება, გესმის? სირცხვილია.

ზანგ. პირველ ყოვლისა შეურაცხყოფისათვის გიწვევ სამედიატორო სამართალში. ჩემის მხრით ვინმეზე პართეს გოთუას. დღიდან ამ წერილის გაზეითში გამოცხადებისა, ვადას ვაძლევ ერთ კვირის შენც დანიშნო შენი მედიატორენი, როგორ თუ მე ვსტყუი! მაშ ისიც ტყუული ყოფილა, რომ არტისტებმა დემონსტრაციული მიატოვეს მისი ლექცია და სახალხო სახლში წავიდნენ? მაშ ესეც ტყუილი არა? მაშ შენი აზრით ისიც ტყუილია რომ დეპუტაცია გაუზზუნეს: ფული არა გვაქვს და შეგვიშვიო?

შეარე. აღბათ ტყუილია, რადგან ამის საბაზი აოავის მიუცია. მართალია ლექციას თაობაშივე ეტყობოდა ვაკრული ანგარიშის სურენ, მაგრამ ამას მაინც არ იკადრებდა, არა და არა.

ზანგ. არ იკადრებდა რასაკვირველია მიზეზი რომ არ ჰქონდა. ხომ გავიგონია „თვლით თულისა წილ და კბილი კბილისა წილი“.

შეარე. ვამიგონია, მაგრამ აქ რა მოსატანია?

ზანგ. სწორედ აქ არის მოსატანი. გრიგოლმა გამგებობას თურმე სეზონის ბილეთი სთხოვა, გამგებობამ უარი სტკიცა...

შეარე. შეუძლებელია, სტყუი!...

ზანგ. თუ არ მათქმევინებ მითხარი და დავუნებებ თავს. ჰოდა უარი მიღო. გრიგოლს ეს რასაკვირველია ეწყინა...

შეარე. და განა არ არის საწყენი? კაცს, რომელიც ქვეყანას ბედის ვარსკლავსავით აღმოკენებია უფასო ბილეთს არ აძლევენ? ეს ხომ ერთგუნების შეურაცხყოფაა? ეს ხომ ჩვენი მამულიშვილობის დაქვეითებაა?

ზანგ. მაკლავ შე დალოკილო ავიხსნა საქმის ვითარება! ბილეთები რომ არ მისცეს გრიგოლს ეწ-

ყინა. ეწეინა და აი თურმე ამისთვის მანაც თავის მხრივ სტაკია უარი არტისტებს. «კბილი კბილისა წილ და თვლი თვალისა წილი».

მეორე. კარგი, მაგრამ უარი არტისტებს ხომ არ უთქვამთ? უარი მას გამგეობამ უთხრა. გამგეობა და არტისტები ხომ სულ სხვა და სხვა არიან. მათ შორის თუნდა ის მცირე განსხვავებაც არის, რომ არტისტები სცენაზე მაინც გამოდიან და ხელებს ანძრევენ, ხოლო გამგეობა სრულიად უმოძრაოთ და უმოქმედოთ არის.

მარგ. მართალია, განსხვავებია.

მეორე. მაშ თუ ეგრეა გამგეობა ხომ შეუშვეს უფასოდ?

მარგ. საქმეც იმაშია, რომ ცხენებს ვერ შესწევდა მათი მაღალ ფილოსოფოსობა და უნაფიერებს დაუწყო მტვრევა.

მეორე ვერ დაიფიერებ, შენ სტყუი, შენ «შუარი ვალაპარაკებს».

მარგ. მე კი არა შენ თითონ სტყუი გესმის? მე თუ ვსტყუი მაშინ ყველა არტისტები სტყუიან. შენ კი საქმის გარემოება არ იცი და გინდა ქვეყანას ქველმოქმედობა მოახვიო თავზე. იღვე თუნდა ის სარაჯიშვილიც.

მეორე. მე აღარ შემიძლია შენს ცილისწამებას ეუსმინო. დეე სამედიკოზო სამართალმა გაარჩიოს ჩვენი დავა. მეც ჩემის მხრით ვნიშნავ პართენ გოთუას. დეე მან აირჩიოს თავმჯდომარეთ ისევ პართენ გოთუა.

მარგელა. სრულს თანხმობას ვაცხადებ.

„მასკა“

*

*

(გულწინ ყოფილ ნუნუს)

სიზმრათ გიხილე ციდან ლტოლოვილო, ფიქრთა კალთაში რუს პირს მჯდომარე, შენს სილამაზეს დამონებოდა ძირს დედამიწა, მაღლა მთოვარე...

ვარსკვლავთა გუნდიც მიზნელიდიყო შენის მშვენებით მთვრალი, გრძნეული, პანგთა შეწყობას ვერ ახერხებდა დატყვევებული შენგან ბუღბუღი...

და დუმდა... დუმდა მდელოსთან ერთად მშენიერების მგოსანი, მონა, მხოლოდ ქურდულათ, როგორც წალკოტმა შორით ჩაგაკონა, გულს ჩაგიკონა...

მეც იქ ვიყავი, ყვევილებს ვკრეფდი, თმაში გიწინიდი დანამულ იას, ვარდით კოკობით შუბლს გიმშვენებდი ნაოქ დადებულს, სედიანს, ქვიანს...

ყვევილთა კონით კობტად მოგფუთენი, ზღაპრული იყავ ეგრე ნაკაზში...

გიშრის თმას, წამწაშს ეპკურებოდა

ლავარდის ცრემლიც კი აიასში...

მადლობის ნიშნად ღიმილს მიძღვნედი,

გული კი გკონდა ვით ყინავდა, ჩემდამი ტრფობა არ ათრფავდა აღარ უკრთობდა დამწველი სხვიე...

და სეცდამ მძლია, შეგება შევკვეცი...

დალონბეულმა თავი ჩავკიდე...

გული აკენსდა ზივდლობით,

ჩამოვებურა ბნელეთის რიდე...

ამის მჭერტეული ვარსკვლავი შეერთა, რუმ განაწყენმა ლუკლუკს უმატა, ბუღბუღმა ბუჩქში ჩემს ქმუნვა-სევდას თვისი მიაწნა, გადაუმბატა...

გული კი ჩემი კვლავ ობლათ ცემდა შენდამი ტრფობით დამონებულნი...

ამაო იყო მისთვის უშენოთ

ია, წალკოტი, რუ, ცა, ბუღბუღი...

სინამდვილეშიც ეგრე გიხილე: ლოდის მსგავს გულით პირმოცინარე... და კვლავ ამოიზნდა, როგორც სიხმარში უიმელო ხმა და ოხვრა მწარე...

მიზხარი ტურფავ, რითი გვათბო განაყენები ეგ შენი ტლი?

რითი ჩაწერგო შიგ ტრფობის სხვიე, დიდი გრძნობა ცით—სიყვარული?

ვ. მალაქია შვილი.

პალაგოგინა

(პოემა)

შე ს ა გ ა დ ი .

ქვ, დმურთო ერთაო, შე მომეც

ხეკარდმო ნაჭი წერის:

ქნს მკატრი და მახვილი

გკდეკან წერეთელის,

ახრი დრზ, მიეწეოდო მკელი

მიხედა სადარასის

და ნაჭი სორატრო

ერმადოხ კანდეაკის.

რომ შევძლო დასურათება

შედაგოთ ბედს წერის

იმთაი ამბავ ხაზარს

დირსა ქებათ-ქების.

ხრახვა მატეს შეექნა პოემა

ნახა და ტკბილი-ხმოვანი

ფრწით პრფას შეემოს

ნმა ტკბილი დექსთა წვობანი.

ამ პოემაში ადგინებე

ერთი დღე ბრწინაფლოვანი;

ქუთათურ შედაგოთათვის

დას დიდ შინაშენელოვანი...

თავი პირველი.

აქ მოლოდინი უტოა სტუმრებისა და საღვთურ დახვედრა.
 ოთხშაბთ დილა გათენდა, რა ავი დარი დგუბა?
 სამასი წითელი ,,მამინა“ ქეთაისს მოფრინდება!
 თანვე მისდევენ ქორები და ერთი დიდი ძვარო,
 ამ სატარმა ამბავს ბუერს გული აუტარა!
 ამბობდენ: ,,რას მოასწავებს ჩიტების გადმოფრენაო,
 ვაჭ თუ ცულ რასმე უჭადის ქუთაისს ბუდის წვრთა!
 გამონდა, შორით გამოხდა ეკ სატარი კრებაო,
 რაზმ დაწყობდენი, მუსიკათ, როგორც ჟარს ეკადრებაო.
 წინ უძღვით ზედაკოები დანდილნი გეხერლებით
 ჟიბეში შამფურ რქობილნი, გულს უხვად ჟვარ-მუნდლებით
 მუსიკა გრვეინავს, ხნიშრეა მთელი ქალქის წაღა:
 კაბაშუდის შთა, ,,ბუღვარ“ ან საარშეო აქ ბალი

თავი მეორე:

აქ მოსვლა უტოა სტუმართა და ცერემონიები.
 საღვთურს უყან მიაწვდა მოსწავლე საღვთადობა
 რიტები არა აჭეთ აღმზრდელებს, სულ შეგას შევინს
 საწდლობა
 დავით ბეჟანიანს *) ამ დღისთვის მიეღო ზომილოცობა,
 რაზმისა კულში მდგომარე სხვათა თეხის ხმას მიოთა.
 მთავარ საწდლებში დინისა ადენიწითი გულუაყოით
 ისე უბეგრდა ქვეშეოდით, როგორც ირანის ღამით;
 უტობ გამოხდა სტუმრები მუნდლებით მოქარგულით,
 მათ დანახვზე გულუაყოთ გადაუბრუნდა გულით.
 ისეთ განსვდელს უფაღმა გადააჩინოს მტერიო
 სულ გაუთორდა საბრალის უღვაში, თმა და წვერიო.
 საბრალის მოულოდნელია წაუხდა ანგარიშით
 თ! დასწველოთ უფაღმა, რას გაქნეუბებს შიშით!
 მთავარ საწდლმა გადასდა მუსიკის ხელით ,,სივადი“
 და ერთხმად ჰქერს მოკლე საყრდნე ჰიმნისა გრადი.

თავი მესამე.

აქ წირვა ტაძარსა გიმნაზიისა და რერი მამა ერნალაოზი
 კანტელაკისა.
 ხოთშაბთ დილას შეიქნა ზარების გრად-გრადლი
 გიმნაზიელებს იწვევენ ვის დოცვისა აქვს ტრფიადი
 შეეგდით წმინდა ტაძარში, რას ხედავს ჩვენი თვალები
 ისე ბრწყინავენ სანთლები, როგორც ვარსკვლავის თვალები
 აქ სანთლებს ჰქვადის სეოჟონ, საჭარას ძეთ ცნობილი,
 რომელსაც მოსწავლეები ღათიწურში ჰქვავს ხრნობილი.
 ტაძარს შუა ადგილი უჭირავს ზედაკოებს
 სულ შეგლა ღმობიერებით უფას თაყს შეცდობებს.
 შეგლა ერთგულთ ღმობიერებას, დადებენ წრეულის გუ
 ღთთ
 ღვრან და ღვრან ცრემლებსა, გულ ნაბასრ დადაგულებით.
 რომ დროს გაისმა წერხული, რეჟს ამბობს კანტელაკიო

მას ამ მხრივ, იცის ქვეყანამ არ დაეცა...
 მას ერთს მსოფლივ ვიკულებთ...
 გათავდა წირვა და შეგლა გადაიქცეოთ სმენად:
 ცამოვიდა ერნალაოზი
 ის უნადლო ორატორი
 (ხლა მასწავლებელია
 ჩვენი მოძიქელთა სწორი)
 თაყვანი სცა კერით ქორებს
 შეგლას ეი ეს მოახსენა:
 როცა დემოთმა მალას ცაში
 ანგელოზნი კანინა
 მაშინ მთავარ ანგელოზი
 მათ უფროსად მიუჩინა.
 მისცა მას თვით მშვეობილობა
 საუცხოო მსთან ბანს!
 ამხარად უფროსობა
 თვით უფაღმა დააწესა
 და ჩვენ გვმართებს მუხლ მოდრეკით
 თაყვანი ვსცეთ შემოქმედს!
 ჰქვენად რომ არ არსებობდეს
 უფროსი და მისი ძალა
 მაშინ თქვენს მტერს რაც რომ თაყვ
 ჩვენ დაგეტყუდეს სათაბლად!
 ამხარად შეიღობ ჩემნა
 მობადრეთ მუსლი თქვინა
 და შორს ჩევენან საუკუნოდ,
 თავისუფლად მოახრენი!
 დიაცროს ცნობურებაში,
 ვინც გურნოს ძლიერებას
 ანაუემა იმთ ცოცხლებს
 ანაუემა იმთ მკვდრებს!!
 და გათავდა რეჟი იგი
 შეგლა მშენნი განგვიცვიფრდენ
 ზედაკოზნი მხარურდენ
 უმანკოს ცრემლებს ღვრიდენ.

თავი მეოთხე

(აქ დროს ვატარებთ კახაბერთან და სხვადასხვა მანერები)
 აჭ მინდრონი ტრადილი დიდი
 მწვენი ბაღახით მითრული ნახად
 და ზედ დას დასად მოსწავლეთ გუნდი
 გამოწობილნი ცირკისა მსკავსად.
 მოკლე შარვლები (ბარძაყს ვერ ფარავს)
 ეელი და მკვლეი ტრადიკანები,
 წინებებს ისროდენ ვითარცა ჟორი
 და სტოდენ ვითა თხის თიკანები.
 რაზ! დვა! — აქ იყვენ განერებულნი
 ტრი! დაიძახეს და გაჭქრენ შორს
 ჟარის კაცს ჰგავდენ შეგოდლობა ეი
 ნეტავი მათზე ვინ მოაჭორ.

*) დავით ბეჟანიანს გიმნაზიის მებაღეა, იმ დღისთვის მას
 მიაწოდეს ხრნალი და რამოდენი მუნდალიც.

მოქალაქეები ქედებს იხდიდნენ და კახელები რაიმე დაწესებულებაში იყვნენ ისინი მამრად მხოლოდ მისი უმჯობესების მიზნით. როცა გათავდა კი არა, მათი მუშაობის მიზნით მხოლოდ მათი მუშაობის მიზნით მხოლოდ მათი მუშაობის მიზნით.

X. Y

ფოთის ნაგებობები.

თუმცა ჩემი მტკიცებულება წამ-დაუწყებელი მარტოა, რომ ეჭვი ვერაფერია, მაგრამ ვერ ვუთხრებ მათ რჩევას და, ნურას უკარგავთ, თუ ძველებურათ ემოციურად რაიმე გამოვიჩინო.

ახა ერთი მიიხაროთ, როგორ შეიძლება ყურად ვიღო რაღაც „შეხვედრის“ კანონები!

— შენ, ჩემო ძვირ (მეუბნება ერთი ნაცნობი), ანგარიში უნდა გაუწიო „საზოგადოებრივი ძალთა განწყობილებას.“ ვანა არ იცი რა პაწაა ქალაქში ცხოვრობ? ყველასი კბენა შეუძლებელია. ორი კაკალი კაცნი ვართ აქ და თუ ერთმანეთი ვეპოინთ, საპრობლემის დროს არავინ ვაგვიტოვებს. ბევრი იქცეოდნენ შენებრ, მაგრამ შემდეგ „პრობლემმა აიძულეს“ კბელი მოგზაური. დამერწმუნე, მეგობარო, რომ აქ განსაკუთრებული „საზოგადოება.“ მას ძვირი უყვარება „შენისთანები.“ ნუ, გეთავაზო, ნუ გააბრაზებ მათ. ადგილი რაიმე არ გინდა, რომ „იუბილენი“ დაეცემარინ? დანებე მათ თავი და დამერწმუნე უფრო მოგიტე. აი ნაყოფი შენი „დაუდგრობის.“ ექიმის მოწოდება გინდოდ, ახა გაბედე ერთი მოდი? რა ბევრი გელაპარაკო. როგორც კვეყანაში მიხვიდე, ისეთი ქელი იგი უნდა. შენ რა ხარ, რომ „სოციალური ტრევილი“ „გამართლებით“ გაუწყობ? დადგე და მალე კარგობილი ადგილი მიიღებ და იცხოვრებ მოსვენებით: არსებობს დარწმუნის მომდევნებით ბუნებრივი შეგუება, ჩვენ პრაქტიკაში „სწავლობის შეხამება“ გავმტკიცოთ.

ახე გათავაზო იმ „შეგუებაში.“ მე ის მიხილდებოდა მაშინ, შეხილდება ელბაც. მასში „ცხოველური ინსტიტუტი“ დაპარაკობდა. ეს ნიკოპირგელთა დამახასიათებელი სენია, ეპიდემიური ვაგრესიული, ამ წინასიტყვიანის შემდეგ, ჩემებურათ „მოუსვენრად“ დაიწყებ კბენას.

25 ოქტომბერი, ეს ბრწყინვალე დღეა ნიკოპირგელთათვის. ამ დღეს შესრულდა 15 წელი, რაც ძველ ფოთს მოეფილნა კაცი იგი „თავიანი“ და შექნა მან ქალაქისთვის საკმარისი „ფარანი.“ მან „გადააკეთა ფოთის პორტი“, სადა ბუნებრივი ირევიან უცხოელთა გემები, გაშნა და დიუეტორი, ტრამვაი, გიმნაზიები. აუჯავდა წარსოვება, აღემატებოდა. გამდიდრდა მცხოვრებთა მისა. გართობებულმა წარმოებამ მერი და მერი მუშა ხელი მოიხიბოდა და ამ „თავის“ მეომბით მთელ ქალაქში არ მოიძებნებოდა არც ერთი უმჯობესი; ქუშპირიტად ბრწყინვალე დღეა 25 ოქტომბერი. მას დღესასწაულობს, მდიდარი, (რადგან ფოთში ღარიბი არავინ

მოიხიბება), მუშა და ინტელიგენცია, ნაწესკო და უსწავლი ძველმა ფოთმა ქუშპირიტად დღეს მიიღეს „ნიკოპირგელის“ სახელწოდება (კამების ამ სახელს იხურებდა ქუშპირიტა-ბრძოლა). და მცხოვრებლებმა და დადესნი დაჯი, წავისა და 24 ოქტომბერს, რომ მიიხიბა მზაობით ცისა, შარსდა დეპუტაცია ქალაქის სმიგრეში (კოშკი და მიართვა მცხოვრებან „თავის“ ექსპანსიული ვერცხლისა (ვერცხლის ჯაჭვი) ალბომი და „სამადლობელი“ ადრისი. მცხოვრებმა თავმა „ამაყურათ“ გადებდა დეპუტაციას გიონიზა და დასაწყისის ის „მადლობითა“. ხოლო, დღესა კვირას, საკრებულოს დარბაზში გაიმართა „საიუბილეო ნადიმი“¹⁾ რომელიცდაც ჩუხრებდა მხეჭვარე „ტოსტები“, მოჭარვულ ბანჯგვლიანი ენები ქუშპირიტად აღიღებდნენ „თავის“ მის, რამეთუ მან შექნა ნიკოპირგელის სიმდიდრე, რომ ნადიმი გთავდა, გულმოდგინედ „გავამბო“ არ დავიწყეს „ბუნებრივი მწყვეთელი“ და მცხოვრის ხელთა წარუგზავნეს მათ „ნამეტარი სუფრისაგან თვისისა შეთნილი“. მაგრამ „საკრებულოში მწყვეთელი“ „მოუხეხნი ხალხი“ აღმიჩნდნენ, იუჯადრისის „ფინანსი“, ტრადიციად ჩამოაფერისი და უკუ გზავნეს ის... „უმაღლური“ სიტყვა ერთმა გავამა. ჩვენ ნადიმის დროსაც არ ვიფიქრებთ მათ. ჩვენ მათის ჰაერით სავსე, ყოველ შემცველი ადგილს ვეძებთ. მიუღო დღესტინა მიწა ვაჩუქეთ უწყებებსა სიტუაციასა და სხვა და სხვა. და ისინი ყველად დიდებულბუნ? სჩანს არ ღირსა არიან ყურადღებისა ჩვენისა.

„მოუსვენრობის ქარი“ გამოიღა (საბრალო ჩემი „მეგობარი“ როგორ ტყვილად ჩაურა ნოტაციებმა!) და ქალაქის აფთიაქში შევირბინე, რაოა მენახა პრობლემის კისერი (უკარგავდა კისერი—უბრალო კისერი არ გვეწონს მკითხველს, კისერი გავა?) და მიხილეს „წამებულბუნობა“.

— ბნო კისერო! მე მხმინა, როგორ სწრაფად იჭერთ „მალაზიები“ გავეთვულ რეცეპტებს და როგორ ფიცხლად აყენებებთ ოქმებს?

— დამერწმუნეთ, ბნო ვოლდემარ, ამას ქალაქის ინტერესები მიიხიბება.

— კუშპირიტად ვაუბრებ შე.

— ამასთან, რომ იგრე არ მოვიკეთებ შტატი უნდა შევამოკლოთ, ქალაქი ზარალს ნახავს. ისიც მისაღებია მხეველბუნის, რომ „მალაზიები“ პაციენტებს უფრო მეტს ახდევინებენ, ან იმდენს, რამდენს ჩვენ და წამალიც ძველი და დამალი ზარისხისა.

— ქუშპირიტად, ქუშპირიტად, მაგრამ ერთი მიიხაროთ, მერლოვებთან კეთილსიტყვაობა რისთვის დაგჭირდა?

— Рабочие тыщны, ქუშპირიტად მაშინიკება. წარმოიღვინეთ, 18 ბოქკაში ერთი ცალიერი ამოიტანეს და ნუ თუ გასალხი არ იყვნენ?

— ბნო კისერო იქნებ მე-18 ბოქკა ავგნესტოდან გამოიტანეს მათ ცალიერი?

— ჰო ესე მიიხარეს, მაგრამ მე არ მიყვარს დილენჯი ხალხი. ისინი „აკურატნიკი უნდა იყვნენ, როგორც ნემციძე. Прохвотны, ცალიერი ბოქკა მომიტანეს აქ!..“

— მთ რა გამოიტანეს ის მოგატანეს, რა მითი ბრალია?

— არა, მითი ბრალია, რამეთუ მუშები პრობლემისტი არიან.

¹⁾ იუბილარიის ხარჯად რადგან სტეების გამაპინძლებებზე მან ვარი სიტყვა.

დაასრულა ბ-ნმა კისერმა და მოგუქსლე ქალაქის ავითა-
ქიდან კაპარტინის სამრეწველო რაიონში ამოგავი თავი, მუ-
შები პარკში გახიზნულიყვნენ და ქალად თამაშობდენ.

შევეხე მთ ერთა მწველითა და ვკითხე: „პროლეტარ-
ის კებაში“ გამოხარულხონ! შეგფერით სეთი წმინდა სა-
ქმე თქვენ?

— როდომაკ არა, მიპასუხეს. ჩვენ ყველაფრის იმედი
გაგვიცრუვდა. რალაკ „პროლეტარხისკია“ო ჩვენ ვაზღნთ,
თქვენ სიტყვით ლაპარაკობთ, ჩვენ კი პარკის მოძღვრებას
საქმეზე ვასრულებთ. გაეფქტენით, გამოფეკტენით ერთმანეთს
და გაპროლეტარებაც მოხდება.

— მერმე სანამდის მოიქცეით ასე?

— სულ, სანამ „რედაქცია“ არ გათავდება, სანამ თვით
ცხოვრება არ დაგვაცენებს სება გზაზე. წაიდა ის დრო, თქვენ
რომ გიჯერობდი. ჩვენ არ გვჭირია აზავინ „ღამზარე“, რა-
მეთუ პარკსა სთქვა— „მუშის განთავისუფლება მუშისვე სა-
ქმეა“ და აი ჩვენც ტეშმარტად ვანთავისუფლებთ ერთმანე-
თის ჯიბებს, როცა „ლიზში“ გროშები გავაწუხებეს.

ერთი ჩაგხველე და გაეშორდი მათ.

ნიკობუგვი ცოცხალთა სამარეს დამზავსებია. შეუძლე-
ბელია იმ ატმოსფერაში ცხოვრება

ვოლდემარ.

რა დაევაშავე!

— ერიქსენული

როს ქოხში ვზივარ მითრხის მისილილი
და მიმორჩილებს ცხოვრება მწველი,
მაშინც მხხრეკვენ „კაიონის“ ძალით,
ნეტა რა უნდათ, რა დაევაშავე?

როს მივისწრაფი, მივდივარ გზაზე
ხელსა მტაცებენ, მკითხავენ თანვე
„ვინ მოგვა ნება სიარულისო“
ნეტა რა ვქენი, რა დაევაშავე?

როცა ვისვენებ, სადმე ვერდები,
წამსვე ჩნდებიან ჩემთან იტყვე
და მიბრძანებენ: „ნუ ხარ აქაო“
რა ჩავიღინე, რა დაევაშავე?

ძილის დროსაც კი არ მასვენებენ
თითქო მიძიოდეს რამე, სიკვე:
ურცხვად მკითხავენ: „რა კაცი ხარო“
რა უნდათ ნეტა, რა დაევაშავე?

განა არ ვიცი მე ულლური ვარ
სხვისთვის მშრომელი და მომუშავე,
ალბათ ეს არის დღენის მიზეზი
მიტომ ვარ ცუდათ, ეს დაევაშავე!

ს. ქურიძე.



საჩილუხი უშაპისადმი

მოსხმენება სამტრედიიდან.

21 ოქტომბერს ფოთში ვიახელით. საქმე მე-
ტათ სეროიზული მქონდა. მინდოდა მენახა ჩემი თა-
ნამოძმე ფოთის კორესპონდენტი ვოლდემარი, ფრი-
ად საქიოო საქმისთვის, მაგრამ იმედი გამიცრუვდა.
ბინას ვერ მივაგენ და უკან გამოვბრუნდი. საღვურ
ახალ-სენაკში ბილეთის აღება მინდოდა სამტრედი-
ამდე. მივმართე კასირს, რომელმაც სამტრედიის ბი-
ლეთის ნაცვლით აბაშამდე მომეკა და ფული კი სრუ-
ლათ წაიღო. ალბათ ამით თუ ფეკრობს რკინის გზის
გამდიდრებას (ვეფქრობ უფრო მისი საკუთარი ჯი-
ბის) ჩამოველ სამტრედიიში, და პარგის წასაღებათ
„ნასილოჩის“ დაუხახე. ისიც მოვიდა; მაგრამ მე
ვერ წარმოამედგინა თუ საიდან ვაჩნდა ეს ახალი მო-

მუშავენი საღვურზე. ვკითხე მას თუ რა იქნა წინა-
ნდელი თეთრ-ხელიანი „ქნიაზური“ არტელი, რო-
მელიც ბ. გლადკოვის მეთაურობით შესდგა? მანაც
ყველაფერი მიაბო. თურმე ნუ იტყვიან რკინის
გზის სამშრომელთა ისინი კარგა ხანია დაუთხოვია.
მიუხედავად გლადკოვის მოხერხებულ ქამანდებისა.
გალაჯეკე თფილისის მატარებელში და ქუთაისისა-
კენ წაველ. ჩემთან ვაგონში შემოვიდა ერთი მსახი-
ობი. გამოვკითხე მიზეზი ჩამოსვლისა. მითხრა: „წა-
რმოადგენა უნდა გამემათა, მიმასწავლეს საღვურ
სამტრედიის უფროსის მეუღლესთან, რომელსაც გა-
ვაცან ჩემი უკუღვურისი მდგომარეობა. ისიც სათა-
ნადო დანხარებას დამიბრძანა; აფი შეგი დავაბეჭდვიენ
გლადკოვა დილის ასოებით გამოამცხადებინა, და წა-
რმოადგენის წინ დღეს დიდი უშველემებელი ვარი მტკი-
ცა. მოგების ნაცვლით სული კინაღამ დავტოვე ში-
მშილისგან მისის წყალობით სამტრედიიში. „უბე-
ლურს ქვა აღმართი მიეწიაო,“ რო იტყვიან სწო-

რეთ ისე ჩემი საქმეო.“ დაათავ თვლ კრემლი-
ანმა არტისტმა. მოტყევილებაჲ ასეთი უნდა!
ესი რევიზორი.

ბორჯომი. 25 ოქტომბერს აქ წარმოადგენა
გამართეს. თუმცა არტისტები „ჯერ დიხოცენ“ მე-
ტის მეტი შრომისაგან და როლი მაინც არ იცო-
დენ, მაგრამ შემდეგ „დაქორწილდენ“ და წარმო-
ადგენაჲ ჩინებულით სადავრო ჩაატარეს. ხალხი ბა-
რე 30 კაცი მაინც კი დაესწრო. ყველა ძლიერ ნა-
სიამოვნები დაბარუნდა სახლში, რომ წარმოადგენა
გთავიდა. წარმოადგენა სურამელ დამწერების ს:სარ-
გებლოთ იყო და მათ სასარგებლოთ 20 მანათი მე-
ტი დარჩათ.

— ჩვენი დებოს მუშეში ძლიერ შესუსტდა „ნუ-
ნუსა“ სმა. ეხლა დღეში მხოლოდ ხუთჯერ თვე-
ბიან. დიდს ვაი ვაგლახით მესამე კლასის ბუფეტ-
ში დაარსდა კარტის ამოთამაშეთა ბიურო. თამაშო-
ბა ღვინოზე არის.

— ბ. ტომარაძემ სახლიერ ვარეთიდან გამოიწე-
რა ვაწვრთნილი მოსამსახურეები. ამას წინათ სდ-
გურის უფროსს, რომელიც დამალ კალბასებს სუ-
ნავდა ერთმა მოსამსახურემ კეტიო ცხვირი მოსტე-
ხა და მთელი ტანი დაუხიანდა. უცხვირო უფრო-
სი აწი ვეღარ დაუწყებს სუნვას დამალ საქმელებს.
რამკუს.

საშტრედა—ამას წინათ „ტოვარნი“ მოსამ-
სახურეებმა „მცხეთური“ გაპართეს. მაგრამ დახეთ
უბედურებას: ერთ „ოტპრაივეტლს“ ისე მაგრათ
გაუკეთეს, რომ როგორც ლაყე კვერცი ისე ჩაატ-
ყდათ ხელნი ვოგრა დახარაღებული საჩვირის აღ-
ძრას აპირებს.

— დიდი ნიაღვრის შემდეგ მეგზოვრებმა ქუჩა-
ში იზოვნეს ვიღაც „ჩინოაინის“ თავი. მცხოვრებ
ლენი საგონებელში ჩავარდენ, არ იციან რომელ
დაწესებულებას აქლია „თავი“. მოვლიან ეგზე-
კუციას.

ხეიო.

ბ. სავანის-ტყეური.

პატივეებული ვშმაკო!
ისიძე გეკურთხობს მათრახი,
ნუ გავაწნობლებ,—ამს ვთხოვოთ,
საქმე არ გვიქნათ საძრახი,
გვეტსუმოთ სავანის-ტყეურს
და ნახეთ სავანელია,
(გიგო რომ ქვა სახელად
გიორგის მახლობელია).
და ჰკითხეთ: გლენებს რად სტანჯავს,
რად ახდევიენბა და დიოსა*?)
რად აწიოკებს ბედშავეებს
და აკემინებს „სტრაჟებსა“ ?..

*) რადგან სანადლო მიწების ზაეს უშვა დიდი ხანია
გლენები იტყვი, ამიტომ, ის უქანასტელით განთავისუფლ-
ბული იყენ სანადლო გ დასაზღოხაგან, დღემდის მიუხე-
დავით ამისა ბ. გ. სავანელი ახლა მაინც ახდევიენბს გლენებს
ნადლს, მაგრამ არა მეთოხებლს,—არამდ დღიურზე ირ კოდს...

ჰკითხე და თუ კი პასუხი
ვერ მოგცეს შესაწყნარებლად
მისცხე ეგ შენი მათრახნი
ორგულთა ვასამწარებთ.

გ-ი.

ბაშური.— მდინარე სურამულა ლამის სულ
დაშრეს, მიწები ის არის, რომ ს. ჩუმათელეთის
„ეკიმი“ ქალს ბევრი ავთამოუფები ყოლია და ყვე-
ლას ამ წყალს უტეთებს წამლთ.

ახ.—ლი.

დ. ყვირილა. ამ დღეებში შემთხვევა მქონდა
ორი დღით დაგწინილიყავი ყვირილაში. ვინაიდან
ეს დამა ჩემდამდე რწმუნებულ სარგეიხო „საბოლ-
ლონიონში“ არ შედის მე აქ ამგვარებისათვის ყუ-
რადღენბა არ მიმიტყევიო, მაგრამ ერთმა ვაგბატონის
საქციელმა ძალა უნებურათ ამაღლევა. აქ, სადგუ-
რის ახლოს საკუთარი აფთიაჰი აქვს ბნ თეოფანე
ნანივევილს. მატარებლიდან ვადმოსვლის ხანს ერ-
თი ნაცნობი შეხვდა და მითხრა თუ ბაზარში მიხ-
ვალ ასე ცილინდრით და შავი ბლუზით აფთიაჰის
ახლო არ ვაიარო, მის პატრონს ჰირიგიო ენახება
ამ გვარი კაცები და ზიფათი მოგელსო, გამოიკერ-
ოს სად აფთიაჰის პატრონი და სად ცილინდრის
და ბლუზის დღენა მეთაჰ? შემოუარე აფთიაჰს და
წავედი ბაზარში, რომ დაერწმუნებულყავი ნაცნო-
ბის ნაამბობის სინამდვილეში. რამდენიმე პირებს
ეკითხე ბნ თეოფანეს ამბავი, რომლებმაც შემდეგი
გაღმომცეს: ღმერთმა დაფაროს ბ-ნი იმ გვარი კა-
ცი მას ქვეყანა სძულს და ის ქვეყანას სძულს; მო-
სამსახურებებს ცუდათ ეპყრობა, აფთიაჰში მომუშა-
ვეთ ისეთ კაცს დებულობს, რომ რაიმე ნაკლი უნდა
ქონდეს, კარეს ხალხის სიმპატია ექნება და საქმეზე
მომიტყენენო. ჩემს მოსამსახურეს არც ცილი უნდა
ყავდეს არც შეილი და არც საზოგადოება უნდა
ინტონდესო, აქვს თუ არა აფთიაჰში საქმე მომუ-
შავეი ორი იქნება თუ სამი მუდამ შიგ უნდა იყო-
სო ვაიხახის ის. ამ ხანებში ერთმა მოსამსახურემ
ვერ გაუძლო მის ამგვარ საქციელს და მიატოვა მა-
სთან სასახური, ვინც იცოდა მისი ამბავი არავინ
დაუდგა. უცნობები ისეთი არაიენ გამოდგა რომ არც
ცილი ყოლიდა არც შეილი და არც ხალხი სცო-
დოდა და ისე არ დაიყენა. ერთმა ქუთისისელმა ფე-
რმატყებმა, როდესაც ვაიგო რომ ბ-ნი თეოფანე აფ-
თიაჰში მოსამსახურეს ეტებდა წერილი მოსწერა და-
გიდგებოი. წაიკითხა თუ არა წერილი მორათო ყვი-
რილი, „ნიკო“ (იგულისხმებ, გრიგოლია) არ ვადმო-
მეცა მისი ამბავი რაც შეილია-იმ „ანარხისტს“ გზათ
არ ვაგვარონიებ ყვირილაშიო. ძალიან მიწოდდა ამ გეა-
რი გვამის ფიზიონომიის ვაგნობა და შევედი აფთი-
აჰში ფარულათ, ბ-ნი თეოფანე წაშობ-უკულებო და-
ლიოდა აფთიაჰში და ამბობდა: აი მამამ... სოცია-
ლისტობას თავს არ ანებებენ; ხალხს ეკომუნებთან და
ადგილი მომეცოი მუუანებიან მე მათ ვაგებენ სე-
ირსო... ამ დროს შემოვიდა ერთი ბავში და რეკ-
პტი ვადასცა მას. ამის წამლები ღირს რვა მანეთიო
უთხრა თეოფანემ, ბ-ნი ამდენი ფული ჩემს უფრო-

სებს არ აქვს ეს რეცეპტი იყოს წამლებს ჯერ ნუ აკეთებთ ვკითხავ და თუ მოახერხებენ ფულს მაშინ გამოკვეთ წამლებიო. ვაბრუნდა ბავში და ცრუა ხანს უკან მოვიდა. მას მოყვა უფროსი და უთხრა გთხოვთ ნახევარი გამოკეთოთ თუ შეიძლება ოთხი მანეთის მეტი არ მაქვსო. ნაცვლათ იმისა რო ეთხრობია ნახევარის გაკეთება არ შეიძლება და რაიმე საშვალაბა მიეცა გამოართვა ოთხი მანეთი და უთხრა წამლები მე უკვე დავაზაღე (დამზადებული კი არ ქონდა) თუ მოიტან დანარჩენს წაიღებ თუ არა ეს ოთხი მანეთი დავგეარგებთ, ვინაიდან უნდა იცოდე რეცეპტს რო მოიტან წამალიც უნდა წაიღოყო,

კასიო.

ქუთაისი ქუთაისის ახალგაზღობას ერთი ფრიად საოცარი სენი დასჩემდა ამ ბოლო დროს, წარმოდგენის დროს თეატრში სიცილ-ხარხარი აუტყვდებოთ ხოლმე და ყურთა სმენა აღარ არის. თეატრი ხომ საარზიყო ასპარეზია ვადააქცვის.

— ამ დღეებში აქ გამოვიდა ვინმე მეცნიერ „ნაცარყანლის“ ფრიად მეცნიერული წიგნი „სქაშს თუ არა მეცნიერებას ლეთის არსებობა“ ამ ფრიად მეცნიერულ კითხვას ის „ნაცარყანულ მეცნიერების თვალსაზრისით არკვევს და ამტკიცებს, რომ მეცნიერები ახალგაზღობს ლეთის წინააღმდეგ ამხედრებუნი.

ალ. ჩორა.

კიდევ <ლენინსუმილი მელა>

„მელამ“ ამ ბოლო დროს „ხეჩეულებანი“ ერთიანთ გამოიკვალა (განა როდის იყო კიი ზნის?) და კვლევ-ძიებას შეუდგა „სხვათა და სხვათა საქმეთა“... სხვათა მრავალთა შორის ამ დღეებში თავის ოჯახში მიიწვია ერთი ქალი, სახელათ ნუშო და კარგი მასპინძლობის შემდეგ შეეცადა გაეგო მისგან თუ ვინ არის „ლენინსუმილი მელას“ ავტორი. ანუ ლენინსუმიდან გაზეთების კორესპონდენტები და საზოგადოათ „მაინე პირები“... „ყვეს არ ქონდა, ბუს ვაქონდაო“, სწორეთ ისე მოუვიდა ჩვენს „მელასაც“... ნუშოს რა ქონდა, რომ „მელა“ გაეძღო!

ამან ძლიერ გააბრაზა „მელა და გაიმართა ასეთი სცენა:

ობ, შე წუწყო და ვერანაე! —
 ბიჭიკომ უთხრა ნუშოსა,—
 გული არ ძღება, რომ კაცმა—
 ე მაგ მახელილი ფუფოსა.

მაგრამ არც ნუშო დარჩა ხელკარიელი:
 ნუშომ მიუგო. — რას მერჩი.

გაფუჭებული „მელაო“!
 წუწიკი კი ხარ და ოხერიც,
 განთქმული „ლენინსუმილი“.
 ახალი არ გქაშს ღალიტობ.
 აღარც გვივარგა ძველიო,

ზენი სამყოფი, სალამური
 ნანგავი და ხვრული
 თითო სანგვენი გამბარხარ,
 მოძმეთა გამცემელიო
 ყველა გავრბის, ზისლით გვერტეს,
 ვით გესლანი ვველიო.

(ეს, რომ ბიჭიკომ ისმინა,
 გაცხარდა, დობლი დყარა:
 ულვაშზე ხელი იტაცა
 და შეიგინა ქალარა:)

მაშ, მაცა წუწყო ღიაცო!

შენსა თამაშს ვნახავო
 სოციალისტი ყოფილხარ,
 რაკი ამგვარებს ჩნახავო!

მოგახსენებენ, „მელაო“,
 ქუთაისის წაცუნტულდაო,
 მაგრამ იმასაც ამბობენ,
 ლოდინი გაუტრუვდაო.

ფრაბ.

დ. სამხარედიანი.

დღეიდან სადგურის წიგნის შუაგის გამგემ გაიჩინა ჟურნ.-გაზეთების გამოცემები შემდეგ სადგურებზე: სკაჯახო, სივითათი, ღანჩხეთი, ჟუმათი, სჟუესა და სკატანუში. მასვე ყავს გაზეთების ავტორი დ. ხანშია—ქატხა მუქუკე, სესკაში—ზ. ხეჟუე და ჟიხასში—მეგაზუკე, შეჩანაში და სემსაქსთან. ამათ გარდა ყველა ადგილობრივ გაზეთებისა, იყიდება სატახტო გაზეთებიც. აქვე იყიდება ქუთათური გაზეთი „ფონსა“ შუაგის გამგე კარამან კოხაჯიშვილი.

იუძმორისტულ მოპულიარული, ეოფელ-კვირული, სურათებიანი ჟურნალი

„მათრასი და სალამური“

წელიწადში ღირს 5 მან., ნახევარი წლით— 2 მან. 50 კ., ერთი თვით— 50 კაპ.

ვინც წლის ბოლომდის გამოიწერს და ღირებული ფასს (2—50) სრულად გამოუგზავნის რედაქციას, გავგზავნება ავტორულ უკვე გამოუსული „სალამურის“ აღმანახები 7 ნომერი.

მიიღება დასაბეჭდი განცხადებები: პირველ გვერდზე სტრიქონი 20 კ., უკანასკნელზე—10 კ.

დროებითი რედაქციის ადრესი: Тифлиси, Типография Т-ва „Промиа“ Василию Болквадзе.